

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2017-2018 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ცაგერის მუნიციპალიტეტი

1. პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:

ცაგერის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლის გეგმა

2. თემატიკა:

გეგმის მოქმედების სფერო და მიზნები

წარმოქმნილი ნარჩენების ტიპები

ნარჩენების მართვის არსებული მდგომარეობა

ნარჩენების განთავსება

ხარჯები და ანაზღაურება

სამოქმედო გეგმა

3. პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:

ავთანდილ უგრეხელიძე, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი, ტელ-595-44-18-18, info cageri@gmail.com

4. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად საქართველო იღებს ვალდებულებას გარემოს დაცვისა და განვითარების სფეროში, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ნარჩენების მართვა, მიზნის მიღწევისათვის შემუშავებული იქნა „ნარჩენების მართვის კოდექსი“, სადაც განისაზღვრულია მუნიციპალიტეტის ვალდებულებები, რის საფუძველზე შემუშავდა 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია გარემოს მდგომარეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ხოლო მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტში სათანადო წინაპირობები შეიქმნა:

ქ.ცაგერში 2011-2013 წლებში მოეწყო ახალი წყალსადენის ქსელი და ჩამდინარე წყლების სისტემა გამწმენდი ნაგებობებით, რისი განხორციელების შემდეგ

დღისწესრიგში დადგა და პრიორიტეტულ მიმართულებად დაისახა ნარჩენების მართვის სისტემის სფეროში არსებული ხარვეზების დაძლევა.

მუნიციპალიტეტში მოქმედებდა ქ.ცაგერის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაგავსაყრელი, სადაც ნარჩენების განთავსება ხდებოდა ღია სივრცეში, შესაბამისად სოფლად არსებობდა 75 სტიქიური ნაგავსაყრელი, რაც გარემოს დაზიანებების ძირითად წყაროს წარმოადგენდა, ხოლო ნარჩენების შეგროვება და გატანა ხდებოდა მხოლოდ ქ.ცაგერის ქუჩებიდან, სადაც განთავსებული იყო 20 ერთეული არასტანდარტული ნაგვის ურნა, ხოლო საცხოვრებელი სახლებიდან ნარჩენების გატანა ხდებოდა კარდაკარ ჩამოვლის მეთოდით, რომელიც ემსახურებოდა 1 თვითმცლელი ავტომანქანა, შესაბამისად მიმდინარეობდა ქ.ცაგერის მხოლოდ ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება.

2012-2014 წლებში შეძენილი იქნა 1 მეორადი და 2 ახალი კომპაქტური ნაგავშიდი და 310 ცალი კონტეინერი, რამაც განაპირობა ნარჩენების შეგროვებისა და გატანის არიალის ზრდა, ამჟამად სერვისით მოცულია მთლიანად ქ.ცაგერი და ნაწილობრივ 37 სოფელი. ქ.ცაგერში აშენდა ახალი თანამედროვე ტიპის ნაგავსაყრელი, რომლის ოპერირებას ახდენს მყარი ნარჩენების კომპანია, ამასთან სოფლად კონტეინერების განთავსების შემდეგ დაიხურა 27 სტიქიური ნაგავსაყრელი. კონტეინერები განთავსდა ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტებთან, მიმდინარეობს სახელმწიფო საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება, მინიმუმამდე შემცირდა ქალაქის ქუჩებსა და კონტეინერებში ნარჩენების დაწვის შემთხვევები.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იზრდება დაგვა-დასუფთავების სერვისით მომსახურების არეალი, რომელიც ხორციელდება ქალაქის ყველა ქუჩაზე და ქალაქის მომიჯნავე სოფელ ქვედა ცაგერის ნაწილში.

მოწესრიგდა ინერტული და სამშენებლო ნარჩენების განთავსების მდგომარეობა, რაც მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ სპეციალურ ადგილებზე მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, დაწესებულებები, სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩართულია „დავასუფთავოთ საქართველო“ ეგიდით მოწყობილ აქციებში.

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

ცაგერის მუნიციპალიტეტი საქართველოს ტერიტორიულ ადმინისტრაციულ მოწყობის მიხედვით რაჭა-ლეჩხუმ ქვ. სვანეთის რეგიონს განეკუთვნება, რომლის ფართობი 775 კვ.კმ. შეადგენს, ზღვის დონიდან უდაბლესი ადგილია 321 მ.

უმაღლესი მის ჩრდილო დასავლეთით ცეკურის მთა 3173 მ. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ლენტეხის, აღმოსავლეთიდან ამბროლაურის, სამხრეთიდან წყალტუბოს, დასავლეთიდან ხონის და მარტვილის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტში შედის ქ. ცაგერისა და 18 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეული, 58 სოფლით.

ქ. ცაგერის ტერიტორია 1.29კვ.კმ-ია, გზების საერთო სიგრძე შეადგენს 15,9 კმ-ს, ხოლო შიდა სასოფლო გზების საერთო სიგრძე 512,5 კილომეტრს.

ქალაქ ცაგერის განაშენიანება ისტორიულად ვითარდებოდა მდ. ცხენისწყალის მარჯვენა სანაპიროზე, ძირითადად ინდივიდუალური ტიპის განაშენიანების სახით, ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შენობების ხვედრითი წილი მთელი საბინაო ფონდში 12 %-ს შეადგენს.

ლექსუმში დასტურდება შორეული პალეოგენისა და ნეოლითის მოსახლე უძველესი ტომების წარმომავლობა. ადრე ფეოდალურ ხანაში მჭიდროდ დასახლებულ რეგიონს წარმოადგენდა. 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით მაზრაში ცხოვრობდა 47.779 კაცი. 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერით ლექსუმში ცხოვრობდა 16.700 მცხოვრები, 2014 წლის აღწერის მონაცემებით ქ. ცაგერის მოსახლეობა შეადგენს 1320 მცხოვრებს, ხოლო მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობა 10387 მცხოვრებს.

უძველესი დროიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს შორის ულამაზესი ბუნებით გამოირჩეოდა ისტორიული მხარე ლექსუმში, რომლის ტერიტორიაზე გაედინება სახელმწიფო მნიშვნელობის სატრანზიტო გზები, ქ. ქუთაისიდან-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი (ცხენისწყლის ხეობა); ქ. ქუთაისიდან-ალპანა-ცაგერი (რიონის და ლაჯანურის ხეობები) და ცაგერი-ამბროლაური. (ცხენისწყის, ლაჯანურის და რიონის ხეობები).

ქ. ცაგერიდან ქ. თბილისამდე საავტომობილო გზის მანძილია 298 კმ; ქუთაისამდე ცხენისწყლის ხეობით 70 კმ; რიონის ხეობით – 80 კმ; ამბროლაურამდე –57 კმ; ლენტეხამდე –19 კმ. ქ. ცაგერის დაშორება სათემო ცენტრებამდე საშუალოდ შეადგენს 16,5 კმ-ია.

ლექსუმი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო ნაწილში. ცენტრალური კავკასიონის გვერდითი ქედების: ლექსუმის, სამეგრელოს და რაჭის თავშესაყარ ზონაში. მდინარეების რიონის და ცხენისწყლის შუას ზემო და მათი შენაკადების (ლაჯანური, ჯონოული და სხვა) აუზებში.

ლექსუმის ტერიტორია მიეკუთვნება კოლხეთის დაბალ და საშუალო მთის ტყის ლანდშაფტების ზონას. სამხრეთიდან და დასავლეთიდან მთების - ხვამლის და ასხის მდებარეობა განაპირობებს, დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ადგილებთან შედარებით განსხვავებულ კომფორტულ მიკროკლიმატს. დაბალ ზონაში, ზღვის დონიდან 800 მ. სიმაღლეზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა +11.4გრ. იანვრის საშუალო -0 გრადუსი, ივლისის საშუალო ტემპერატურა - +22გრ. ნალექების წლიური რაოდენობა 900-1100 მმ-ია. რელიეფურად ლექსუმი წარმოადგენს, ძირითადად საშუალო და დაბალი სიმაღლის მთების, ქვაბულების და ღრმად ჩაჭრილი, ვიწრო ხეობების მქონე ტერიტორიას.

განვითარებულია სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგები, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ტრადიციული დარგების (მევენახეობა, მეცხოველეობა, მარცვლეულისა და ხილის წარმოება) შენარჩუნება ხდება შინა მეურნეობებში, სასოფლო სამეურნეო სავარგულების მოცულობა 14864 ჰა შეადგენს, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 სამრეწველო ობიექტი, 7 პურპროდუქტების საწარმო და 2 უალკოჰოლო სასმელების და 3 რძისა და ხორცის გადამამუშავებელი მცირე საწარმო .

ლექსუმის ისტორიული პროვინცია გამოირჩევა არქიტექტურული ძეგლების, ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-კოშკების სიმრავლით, სადაც აღრიცხულია 80-ზე მეტი ისტორიული, ახლად აშენებული და მშენებარე ეკლესია-მონასტრები. რომელთა შორის ტურისტული თვასაზრისით გამოირჩევა გვესოს ,მურის, დეხვირის ,ორბელის ციხეთა კომპლექსები, მაქსიმე აღმსარებლის მონასტერი,საირმის ბუნებრივი სვეტები, ხვამლისა და ასხის მთის მასივები, მდინარე ჯონოულის, ლაჯანურის, ღვირიშის დელის ხეობები კანიონებით, ლექსუმი გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე 6 მუნიციპალიტეტის გზაგასაყარზეა განთავსებული და მისი ბუნებრივ-რელიეფური პირობებიდან გამომდინარე ტურისტების ყურადღების არეალში ექცევა.

6. მუნიციპალიტეტის მახასიათებლები:

შიდა ფაქტორები -

მუნიციპალიტეტს გარემოს დაცვის სფეროში დაგეგმარების განხორციელების სათანადო გამოცდილება არ გააჩნდა და მისი პრაქტიკული განხორციელება

მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღიწვევებით შემოიფარგლებოდა.

ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად საქართველოში შემუშავებული კოდექსის შესაბამისად დაისახა სამოქმედო გეგმის შემუშავების აუცილებლობა, რაშიდაც ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების კვალიფიციური სპეციალისტები, საკრებულოს, საზოგადოებრიობის, მერიის ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულები, დაინტერესებული მხარეები.

მუნიციპალიტეტის მერიის სპეციალისტები აქტიურად ჩაება ევროკავშირის ეგიდით მოწყობილ ტრენინგ-სემინარების მუშაობაში, რომელიც ემსახურებოდა გეგმის შემუშავებისათვის მათ მომზადებას ერთი წლის განმავლობაში, შედეგად ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებაში ფინანსური რესურსები არ დახარჯულა.

მაღალმთიანი რეგიონსათვის დამახასიათებელი რთული გეოგრაფიული და კლიმატური პირობები სირთულეებს უქმნის ნარჩენების სერვისის მომსახურებას, ადმინისტრაციული ცენტრიდან სოფლებამდე საშუალო მანძილი 16,5 კმ-ს შეადგენს რაც ზრდის მომსახურების ხარჯებს.

- **გარეშე ფაქტორები**

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებამ განაპირობა პოზიტიური ძვრები სხვა და სხვა დარგებში, რეაბილიტირებულ იქნა წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხის, ამბროლაური-ალპანა-ცაგერის სახელმწიფო მნიშვნელობის გზები, განხორციელდა ქალაქ ცაგერის ქუჩების რეაბილიტაცია, მოწესრიგდა ქალაქის ინფრასტრუქტურა, დაიგეგმა სოფლის ცენტრებთან მისასვლელი გზების კეთილმოწყობის ღონისძიებები, რამაც დღის წესრიგში დააყენა ნარჩენების მართვის სფეროში პრობლემების დაძლევის აუცილებლობა.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებამ ტურისტული ნაკადი ზრდა გამოიწვია, ხოლო ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად გაიზარდა ისტორიული ძეგლების, ტურისტულად მიმზიდველი ადგილებისა და ველური ბუნების მოყვარულ დამთვალიებელთა რაოდენობა.

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შედეგად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მაღალმთიანი დასახლებების განვითარებას, ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას, სტიქიის პრევენციისა და სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების ამოქმედებას.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

აქტივობათა გეგმა/გრაფიკი

- მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემების შესახებ ინფორმაციების შეგროვება
 - მუნიციპალიტეტში ნარჩენების შესახებ არსებული ინფორმაციების მოპოვება
 - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების დინამიკის მოძიება.
 - ნარჩენების შემადგენლობის სავარაუდო მონაცემების შეგროვება
 - საზოგადოებრიობის ჩართულობით შემუშავებული გეგმის პროექტის განხილვა
-
- **განხორციელებისათვის მიღებული და გაფორმებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი**
 - მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება გეგმის შემუშავების მუშა ჯგუფის შექმნის შესახებ.
 - განკარგულება 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.
 - განკარგულება 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.
 - დადგენილება დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადის შესახებ.
-
- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ**
 - გეგმის შემუშავებაში ჩართული იყო გენდერული თანასწორობის თანამშრომლები, მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
-
- **ინფორმაცია გამოყენებული რესურსის შესახებ;**
გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის სპეციალისტები, კომისიის წევრები.
-
- **განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
 - მუნიციპალური ნარჩენების სერვისით სრული დაფარვისა დასუფთავების მოსაკრებლის მაქსიმალური ზღვრის დაწესების შემთხვევაშიც შეუძლებელია გაწეული ხარჯების დაფარვა.
 - სოფლად სტიქიური ნაგავსაყრელების მინიმუმამდე დაყვანა

- ქალღმერთსა და სოფლად ნარჩენების დაწვის შემცირება
- ინერტული და სამშენებლო ნარჩენების განთავსების ადგილების გამოყოფა
- ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;
- მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში PEM GmbH-ის, Intecus-სა და Gamma-ს მიერ, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თანამშრომლები.
- მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები ეტაპობრივად ერთვებოდნენ პროექტის მომზადების პროცესში.
- საერთაშორისო ექსპერტებმა მოახდინეს მომზადებული პროექტის განხილვა მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებთან.
- სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;
- პროექტის წარმატებით განხორციელებას ხელი შეუწყო საერთაშორისო ექსპერტების მიერ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მომზადებული პროექტების პრაქტიკის განზოგადებამ.

8. მიღწეული შედეგი:

- შემუშავებული იქნა მუნიციპალური ნარჩენების 2018-2022 წლების სამოქმედო გეგმა
- ევროკავშირის ექსპერტთა უშუალო მონაწილობით შესწავლილი და განზოგადებული იქნა ნარჩენების შეგროვებისა და მართვის გაუმჯობესების პოტენციური ცაგერის მუნიციპალიტეტში.
- ევროკავშირის ექსპერტთა მონაწილობით იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტებისათვის ქალაქ ცაგერში ჩატარდა ნარჩენების კლასიფიკაციისა და შეგროვების ეფექტიანობის გაუმჯობესების მექანიზმის შექმნის საჩვენებელი სემინარი.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

- ნარჩენების მართვის სრულყოფილი პროექტის განსახორციელებლად საერთაშორისო ექსპერტების, მყარი ნარჩენების კომპანიისა და ამ სფეროში არასამთავრობო ორგანიზაციების მომუშავე სპეციალისტთა ჩართვა პროექტის მომზადების პროცესში.

- ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესში ფართო საზოგადოებრიობისა და ბიზნეს სექტორის ჩართვა.
 - გეგმის შემუშავების პროცესში ინერტული და სამშენებლო ნარჩენების უტილიზაციის ნაწილის გაღრმავება სამოქმედო გეგმაში.
 - ნარჩენების მართვის სფეროში კომპოსტირების დანერგვის მიზნით სტიმულირების მექანიზმის შემოღება.
 - სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ბიუჯეტის მყარი საფუძვლის შექმნა, დაფინანსების წყაროს მდგრადობის გათვალისწინებით.
 - სატარიფო განაკვეთების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.
 - ნარჩენების მართვის გეგმაში აისახოს წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით სასწავლო ტრენინგების ორგანიზება.
 - სეპარირებული შეგროვების გეგმის შემუშავება
- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ;**
დამტკიცებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის 4 წლიანი სამოქმედო გეგმა და ყოველწლიურად ხდება მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

10. საკრებულოს როლი:

პროექტის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩაბმული დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლები, სამოქმედო გეგმა განხილული იქნა საკრებულოს კომისიებსა და ბიუროს სხდომებზე, შესაბამისად დამტკიცდა წარდგენილი გეგმა, ამასთანავე საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსის პროექტის შერჩევაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს თავმჯდომარე და კომისიის თავმჯდომარეები.

11. პრატიკასთან/ინიციატივასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

მუნიციპალური ნარჩენების წყროსთან სეპარირების გეგმის შემუსავება შესაბამისი ფინანსური გარანტიებით.

12. საკონტაქტო ინფორმაცია: იური ლარგულიანი, მერიის სივციითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე. ტელ-599-54-75-77. Takveri2010@mail.ru

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება გეგმის შემუშავების მუშა ჯგუფის შექმნის შესახებ.

განკარგულება 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

განკარგულება 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

დადგენილება დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადის შესახებ.